ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი N28

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

19.12.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-*გიორგი ივანიაძე*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი:–გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, კობა ძაგნიძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ივანე კორძაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, ვარლამ გიორგაძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურიძე.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული განვითარებ"-ის **წარმომადგენელი-ირაკლი პაპავა.**

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფარსტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-**გელა ჩიტორელიძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-**ივანე მამფორია;**

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს:/ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ".

მომხს. /გელა ჩიტორელიძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით ივანე მამფორიაწარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობა იზრდება 145.0 ათასი ლარით. ბიუჯეტის ცვლილება განპირობებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 13 დეკემბრის N2367 განკარგულებით გამოყოფილი თანხების

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვით. 38,2 ათასი ლარი მოხმარდება ქალაქ ვანში და სუ
ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახ
სამუშაოებს. ხოლო 106,8 ათასი ლარით სამშენებლო მასალები გადაეცემა სტიქიის შე
დაზარალებულ მოსახლეობას. ასევე განმარტა, რომ საკუთარი სახსრებით გასაწევი ხარ
ნაწილში გათვალისწინებულია შემდეგი სახის ცვლილებები: ა) ჯანდაცვის ინფრასტრუქტ
მშენებლობა და რეაბილიტაცია სასწრაფო დახმარების ცენტრის შენობის სეპტიკის მოწყ
მიზნით იზრდება 33,5 ათასი ლარით; ბ) კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის მშენებლობ
რეაბილიტაცია ქ. ვანში, თავისუფლების N 63-ში მდებარე შენობაში ბიბლიოთეკის განთავს
მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების დასაფინანსებლად იზრდება 50,0 ათასი ლარით
მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასიგნებების მოცულობა იზრდება 7,8 ათასი ლარით;
დ) მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნებების მოცულობა იზრდება 30,3 ათასი ლარით; ე) სამხედ
სამსახურის დაფინანსება მცირდება 7,0 ათასი ლარით; ვ) გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია
მოვლა-შენახვა მცირდება 103,7 ათასი ლარით; ზ) გარე განათების რეაბილიტაცია
ექსპლოატაციის ასიგნება იზრდება 4,1 ათასი ლარით; თ) სასპორტო დაწესებულებებ
გაერთიანების ასიგნებები იზრდება 7,0 ათასი ლარით; ი) სახელოვნებო, განათლებისა
ტურიზმის განვითარების ცენტრის განვითარების ცენტრის ასიგნება იზრდება 11,0 ათასი ლარი
კ) სარაგბო კლუბ „აიეტის" დაფინანსება იზრდება 1,0 ათასი ლარით; ლ) კულტურულ
ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსება იზრდება 6,0 ათასი ლარით;
მ) სოციალური პროგრამების ასიგნებების მოცულობა, წლის განმავლობაში წარმოქმნილ
ეკონომიების გამო, მცირდება 40,0 ათასი ლარით. სოციალური პროგრამების მოცულობი
შემცირება განპირობებულია მრავალშვილიანების და მარჩენალდაკარგულების რაოდენობი
შემცირებასთან.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი
უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

ადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დანართი: დადგენილება N123)

საკრებულოს წევრებმა შოთა გიორგაძემ, მერაბ ხურციძემ და კობა ძაგნიძემ საპატიო მიზეზით ითხოვეს სხდომიდან განთავისუფლება და დატოვეს სხდომა, ხოლო თამარ შენგელია სხდომას მოგვიანებით შემოუერთდა.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონალური განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ".

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს სხდომაზე მოახსენა, რომ 2019 წლისთვის ვანის მუნიციპალიტეტში უნდა განხორციელდეს რეგიონალური განვითარებისათვის საჭირო პროექტები კერძოდ,

1. ვანის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია:

მთისძირი-203 500 (ორას სამი ათას ხუთასი) ლარი;

ქ. ვანი ჭავჭავაძის ქ. N42-206 300 (ორასექვსი ათას სამასი) ლარი;

სოფ. მიქელეფონი-47 500 (ორმოცდაშვიდი ათას ხუთასი) ლარი,

ზეინდრის-145 5000 (ასორმოცდახუთი ათას ხუთასი) ლარი;

2. ზედავანი-გადიდის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-347 200 (სამასორმოცდაშვიდი ათას ორასი) ლარი;

3. ამაღლება-საპრასიის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-700 0000 (შვიდასი ათასი) ლარი;

4. გზვანის ადმინისტრაციული ერთეულის დაფნარი-ვანი-ბაღდათის მაგისტრალთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-561 913 (ხუთას სამოცდაერთი ათას ცხრაასცამეტი) ლარი;

5. ამაღლება-საპრასიის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

6. ვანის მუნიციპალიტეტის სალხინო-დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-700 000 (შვიდასი ათასი) ლარი;

7. ქ. ვანში ჩუგნაძის ქუჩისა და სოლომონ მეორეს ქუჩის მეორე შესახვევის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-453 808 (ოთხას ორმოცდაცამეტი ათას რვაასრვა) ლარი;

8. ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში ზედავანი-ტყელვანი-ზედავანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-650 000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

9. შუამთა-ტობანიერის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბუბუტეიშვილების უბნის გავლით-500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

10. ქ. ვანში თავისუფლების ქუჩის შესახვევების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია III_IV_V_VI/-325 000 (სამას ოცდახუთი ათასი) ლარი;

11. ზეინდრის და სალომინაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია- 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

12. ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი კომისარიატიდან კეჭინარას მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-475 000 (ოთხას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

13. ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში ლიფნარის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-650 000 (ექვსას ორმაცდაათი ათასი) ლარი;

14. დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების რეაბილიტაცია 665 375 (ექვსას სამოცდახუთი ათას სამას სამოცდათხუთმეტი) ლარი:

15. შუამთა-მთისძირის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (ჭყვიში-ჭაგანჭყვიში) რეაბილიტაცია-600 000 (ექვსასი ათასი ლარი);

16. ქ. ვანში შიდა გზების რეაბილიტაცია-951 200 (ცხრაას ორმოცდათერთმეტი ათას ორასი) ლარი:

17. ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში ტოხვაძეები თვალაბეიშვილების საუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცი-206 000 (ორას ექვსი ათასი) ლარი;

18. სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შოშიტაშვილების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 862 200 (რვაას სამოცდაორი ათას ორასი) ლარი;

19. გორას ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების რეაბილიტაცია-450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

20. ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში ტობანიერი-ზედაეწერტობანიერის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-135 700 (ასოცდათხუთმეტი ათას შვიდასი) ლარი;

წარმოდგენილი პროექტები სრული ღირებულება შეადგენს 1 0162 696 (ათი მილიონ ას სამოცდა ორიათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარს შეადგენს, ასევე

1. სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორის საჯარო სკოლა 60 000 (სამოცი ათასი) ლარი;
2. სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ძულუხის საჯარო სკოლა 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;
3. სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა 65 000 (სამოცდახუთი ათასი) ლარი;
4. სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა გორას საჯარო სკოლა 65 000 (სამოცდახუთი ათასი) ლარი;
5. სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ უხუთის საჯარო სკოლა 60 000 (სამოცი ათასი) ლარი;
6. სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ისრითის საჯარო სკოლა 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი;
7. სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის საჯარო სკოლა 60 000 (სამოცი ათასი) ლარი;
8. სსიპ-ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალომინაოს საჯარო სკოლა 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

საჯარო სკოლების პროექტის სრული ღირებულება შეადგენს ჯამში 500 000 (ხუთასი ათას) ლარს.

წარმოდგენილი პროექტების სრული ღირებულება შეადგენს 10271596 (ათი მილიონ ორასსამოცდათერთმეტი ათას ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი ათასი) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ ეთერ ჭიჭინაძემ გამოთქვა მოსაზრება, ქ. ვანში თავისუფლების N63-ში მდებარე შენობაში ბიბლიოთეკის განთავსების მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებთან დაკავშირებით, რომ უმჯობესია პროექტში გათვალისწინებული იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის შენობის პირველ სართულზე მოეწყოს პანდუსი.

გიორგი ივანიაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია საჭადრაკო სახლის აღდგენა, რომელსაც ნინო ხურციძის სახელი მიენიჭება, სამწუხაროდ მომავალი წლის პროექტების ჩამონათვალში მითითებული არ არის, თუმცა ადგილობრივი საჭიროებიდან გამომდინარე უნდა დაისვას საკითხი, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამომავლოდ აუცილებელი იქნება პერიოდულად საჭადრაკო ტურნირების ჩატარება, რასაც დაეთანხმა საკრებულოს წევრები.

საკრებულოს წევრმა შალვა ლორთქიფანიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სკოლის მოსწავლეების გადაადგილებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტისთვის ინფრასტრუქტურის საკითხებთან ერთად ასევე მოსაგვარებელია სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების საკითხი, რაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით არ არის ამოწურული, იგეგმება თუ არა რაიმე ქმედითი ნაბიჯის გადადგმა ამ მიმართულებით?

საკრებულოს წევრმა ვანო კორძაძემ კითხვაზე უპასუხა, აღნიშნული პრობლების მასშტაბურობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ რიგი საკითხები ადგილობრივი რესურსცენტრის პრეროგატივას არ წარმოადგენს, თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სამომავლოდ საჯარო სკოლების მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში შედის, რაც ამ კუთხით ადგილობრივი პრობლემის იდენტიფიცირების და მოგვარების ეფექტურ გარემოებას წარმოადგენს.

საკრებულოს წევრმა ოლეგი მიქელთაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სოფ. გადიდის საჯარო სკოლის დამსახურებასა და ფუნქციონირების ხანგრძლივობაზე გაუსვა ხაზი, სკოლა დღეის მდგომარეობით ავარიულ მდგომარეობაშია და უმჯობესი იქნება თუ მოხდება სკოლის ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწიწება და ეტაპობრივად ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაობი.

დეპუტატების მხრიდან დასმულ კითხვაზე თუ რა პრინციპით შეირჩა პროექტები განსაკუთრებით საჯარო სკოლების ნაწილში, გიორგი ივანიაძემ განმარტა, რომ დასაფინანსებელი პროექტები შემოგვთავაზა ინფრასტრუქტურისა და რეგიონალურმა სამინისტრომ, თუმცა საკითხის ეფექტურად გადაჭრის მიზნით აუცილებელია შეიკრიბოს კომისია, რომელიც დამატებით შეისწავლის და გამოიკვლევს საკითხს.

წარმოდგენილი იქნება განკარგულების პროექტი, სადაც მოხდება ცვლილებების და დამატებების შეტანა.

საკრებულოს წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს

მომხრე – 23

წინააღმდეგი არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“.

(დანართი: განკარგულება N2769).

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ფანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე